

ჩემდამცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერად მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію „Дროზბა“.

გაზეთის ღირსი: მთელის წლი-სა— 8 მ., ნახევარ წლისა— 5 მ., ხა-მის თვის— 3 მ., ერთის თვისა— 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროშა

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

შანი განცხადებისა: ყველა ცხოვრებით ასოზე 1 კუპონი ჩაიჭრება ცეროთი— 5 კ.პ., პატარათი— 4 კ.პ.

ჩემდამცისა: ყველა აქვს გასწორება და შენობა-ნაგებობათ განთავსების სტატუსი. ღირსი კლდე-ლი სტატუსი ავტომატურად დადგინდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**სტამბოლი, 23 ოქტომბერს.** სულთანის სასახლეში და აგრეთვე ოსმალეთის მთავრობაში დიდი აღფრთოვანება არის ინგლისის ელჩის უკანასკნელი მოთხოვნების გამოისახებით. ამბობენ, რომ თუმცა რუსის ელჩმა თ. ლობანოვ-როსტოვსკიმ ბევრი ურჩია; ხონტიარსაო, რომ გამაგრდეს და ნუ დაემორჩილება ინგლისსო, მაგრამ სულთანმა ბოლოს მაინც გადაწყვიტაო, რომ მიიღოს მხედველობაში ინგლისის მოთხოვნილება და შეადგინოს ისევე ძველი სამინისტრო — ხაირედინ-ფაშისა.

**ლონდონი, 23 ოქტომბერს.** მიტქის ყველა აქაურ გაზეთებს მოსწონს ინგლისის მმართველობის მოქმედება ოსმალეთის შესახებ; მოსწონთ, ინგლისი რომ მცირე აზიაში რეფორმების შემოღების თაობაზე დალას ატანს ოსმალეთის მთავრობასა. ბაზ. „მორინგ პოსტ“ ამბობს, რომ ინგლისის მხრით ამნაირი ენერგიული მოქმედება იმ გარემოებაში გამოწვიო, რომ სულთანმა ისეთი ახალი სამინისტრო დანიშნა, რომელიც ჩვენს მთავრობას არ მოსწონდი და რუსეთის მომხრეთ ითვლებო. ბაზ. „ღელი ნუსში“ სხვათა შორის დაბეჭდილია: ჩვენ გვეზინიან, რომ ინგლისის ამგვარმა სამხედრო მანიჭესტაციამ, ოსმალეთის შესახებ, აყალმაყალი და განხეთქილება არ ჩამოაგდოს მეროპის სახელმწიფოებს შუა.

**სტამბოლი, 22 ოქტომბერს.** შინაგან საქმეთა მინისტრმა მაჰმუდ-ნელიმ-ფაშამ გაცხარებული სიტყვა წარმოასთქვა მინისტრების კრებაზე: „მთელი მეროპის წინაშე იკისრა ოსმალეთმა, რომ მცირე აზიაში რეფორმებს შემოვიღებო და უნდა შეასრულოს ეს; უნდა შეასრულოს უკან მოუხედავად, გულ-წრფელად, პატიოსნად და სრულად.“ მთავრობა და ხალხი ძალიან აღფრთოვნილი არიან.

**ცეცხლი, 22 ოქტომბერს.** ჩერნოგორიელების ჯარის უფროსმა მილიანოვმა პეპინის მაზრა დაიჭირა; მელ იკოის მაზრის დაპყრობის შემდეგ ჩერნოგორიელებმა გაიწიეს წინ და ბრეზოვიცს იქით გაჰყარეს ალბანიელები.

პეტერბურლის ბირჟა, 23 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის — 94 —	„
მეორე — — — —	93—37
მესამესი — — — —	93—50
მეოთხესი — — — —	92—87
აღმოსავლეთის პირ. —	90—75
აღმოსავლეთის მეორე —	90—75
აღმოსავლეთის, მესამე —	„ — „
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	7—78
ვირაოს ფურცელი —	„ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	231 — „
მეორე სესხის — —	224—75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25—37	პენსი
ბამბურლი — —	216—50	ცენტი
პარიჟი — — —	269 —	სანტიმი
ვენა — — — —	129 —	ჰენციგი
ბაგასიის კერასინი — —	— —	—

## საქართველო

დღიური

\* \* ბათუმიდამ გვეწერენ, რომ რაც დრო მიდის, თან-და-თან უფრო ძვირდება აქ ცხოვრებაო; განსაკუთრებით სადგომები გაძვირდნენ საშინლათაო; იმ სადგომში, რომელშიაც ადრე ხუთ ექვს თუმანს ვაძლევდით, ახლა ორას-სამას მანეთ ნაკლებ ვერ იშოვნო.

ამის მიზეზი, ჩვენი კორრესპონდენტის აზრით, ის არის, რომ მთავრობას ჯერაც არ დაუმტკიცებია საბოლოოთ ქალაქის პლანი, ადგილ-მამულის კამისიასაც არ გაუთავებია ჯერ თავის საქმე და ამის გამო სახლების აშენების ნებას ძალიან დიდს გაჭირებით აძლევდნო.

\* \* ჩვენ გვითხრეს, რომ ჩვენს მთავრობას აქარელი შერიჭ-ბეგ ხიმშიაშვილისათვის მიუნიჭებია უფლება ყველა იმ ორდენების ტარებისა, რომელიც იმას ოსმალთა სამსახურში ჰქონდა მიღებული.

\* \* ზოგიერთ სახლისა და ღუქის

პატრონებისაგან მივიღეთ ჩვენ საჩივარი პოლიციანედ, რომ ერთი ტაშტის წყლის ქუჩაზე დაღვრისათვის გეწუხებენ, პროტოკოლებს გვირდგენენო, და იმას კი არ უყურებენ, რომ ზოგიერთი ქუჩეზი, მაგალითად ანისხატისაკენ და მომავალ სახელოსნო შკოლის ახლო-მახლოს სულ ავსებულია ნაგავითა და სხვა ყოველგვარი სიმუყალითაო. თუ ქალაქის საინტარულ მდგომარეობას, მცხოვრებთა ჯანმთელობას (რამე ვნებს, ეს ბირძური ქუჩები ვნებენ და არა ერთი ტაშტი წყალი სახლის წინ დაღვრილიო...

\* \* მომბოროტად გვეწერენ, რომ ამ მოკლე ხანში იქითკენ ერთობ გამრავლებულან ყაჩაღები; წასულ კვირაში; სხვათა შორის, მომბოროტან; გაუცარცვავთ უფ. თ. აბამელიქაი გაუცარცვავთ ისე, რომ ფული რაც ჰქონია, წაურთმევიათ და პერანგისა და პერანგის ამხანაგის-ამარა დაუტოვებიათ.

\* \* ამ თვის 19-ს ჩვენს ქალაქში გარდაიცვალა გამოჩენილი სომხის არხივის-კოპოსი სარქის ჯალალიანი, რომელსაც, როგორც ამბობენ, დიდი ღვაწლი მიუძღოდა სომხის სახალხო განათლების საქმეში. სხვათა შორის მიცვალებულს დაუარსებია შუშის სომხური სემინარია, გაუმართავს იქ რამდენიმე შკოლა და სხე.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი საქმე მიცვალებულის არხივისკოპოსისა არის იმის ანდერძი: იმას დაუტოვებია ოც-და-ხუთი ათასი მანეთი იმ პირობით, რომ ეს ფული პირველი ათი წლის განმავლობაში უნდა იყოს სარგებლით შენახული რუსის სახელმწიფო ბანკში; ათი წლის შემდგომ თავნი და სარგებელი ამ ბანკიდან უნდა გამოიტანონ და 125 წლის ვადით უნდა შეიტანონ ინგლისის ბანკში. ას-ოც-და-ხუთის წლის შემდეგ ეს ფული უვიდ მილიონად იქცევა და მაშინ კი უნდა გამოიტანონ ბანკიდან და სომხის შკოლებზე და საზოგადოთ ხალხის განათლების საქმეზე უნდა მოიხმარონ.

\* \* „თფილისის მოამბე“ გეაცნობებს, რომ ქარსის სომხის შკოლები, რომელიც ქარსის ლუბერნატორის უფ. ჭრანკინის განკარგულებით იყენენ დაკეტონი, ამ ქაშად ხელ-ახლად გახსნესო, რადგან იქაური მთავრობა დარწმუნდაო, რომ სომხის საკლესიო უწყებას აქვს უფლება მთავრობის ნება-დაურთველა-



დაც გახსნას თავის სამრევლო შკოლები.

\* მომავალი წლებისთვის ხუთი-დასამ წინსვლაში ერთი ახალი სტამბა იხსნება—უფ. ი. ი. შითოვეისა.

\* მართის იმერეთში მიგზავრის პირისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი შენიშვნა:

ამ ხუთის წლის წინათ იმერეთის ყოველ სოფელში რაღაც საქმიანობას და მოძრაობას წედავლით. ძვირა ისე არ გავიდოდა, რომ რომელსამე საზოგადოებას ყრილობა არ მოეხდინა ან შკოლის დასაარსებლად, ან მაღაზიის გასახსნელად, ან რაიმე სხვა თავიანთი საზოგადო საქმის გასაკეთებლად.

ასე გასინჯეთ, რომ 1871 წლიდან მოკიდებული 1874 წლამდის მუთათისის ლუბერნიაში გაიმართა ასამდინ სასოფლო შკოლა და ორასზე მეტი სიმინდის მაღაზიები. ასეთი ხალისითა და ერთგულობით რომ წასულიყო საქმე, ამ ყამად მუთათისის გუბერნიაში უკანასკნელი ორასამდის სახალხო შკოლა გვექნებოდა და თითქმის ყოველ საზოგადოებას მაღაზია ან შემწახველ-გამსესხებელი ბანკი გაუჩნდებოდა.

ამ ყამად, როგორც შევიტყვე სანდო პირთაგან, მაღაზია სრულებით აღარსად არსებობს; ხოლო შკოლები დღით-დღე იკეტებიან.

რა უნდა იყოს ამის მიზეზი? პარის სამი მიზეზი, რომელსაც ყველამ ყურადღება უნდა მიაქციოს, ვისაც გული შესტკივა ჩვენი ხალხის წარმართებისათვის:

1), შკოლის სადგომი სახლი უმეტეს ნაწილად მოშორებულია თვით იმ სოფელს, რომლისთვისაც არის აშენებული;

2), უმეტესი ნაწილი ოსტატთა სუსტები არიან და

3), საგნების სწავლა ყველა შკოლებში რუსულ ენაზე მიდის, რაც ძრიელ წინსვლას შკოლის საქმეს.

იმ სოფლებში, სადაც ხეირიანი მასწავლებელი არის და სადაც შკოლის სახლი ხეირიან ადგილზედ არის, შკოლა აღესილია მოსწავლეებით. მიდით და ნახეთ აბაშის, სუჯუხის, ბახვის და მანის შკოლები. ამ შკოლებში ირიცხება სამოციდამ ასამდის მაგირდები; აბაშის შკოლაში ირიცხება ოთხმოც-და-ათი მაგირდი, რომელსაც ასწავლის მხოლოდ ერთი ოსტატი. რასაკვირველია ერთი ოსტატის ხელში ამდენ მაგირდს არ შეუძლიანთ რამეს გახდნენ, მაგრამ ენერგიული, მედგარი მეცადინეობა ოსტატისა ზედ ემჩნევა თვით მაგირდებს.

არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ ყურადღება ჩვენი ახლის „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებას“ ამ გვარ შკოლებზე. ამ საზოგადოებამ ამ გვარ შკოლებს მაინც უნდა მისცეს დახმარება, რომ სხვა შკოლებივით ესენიც არ დაცალიერდნენ მაგირდებისაგან.\*

„ღ რ ო მ ბ ა“ კორესპონდენცია

სიღნაღი, 15 ოქტომბერს. თუმცა ადრე შეგატყობინეთ, რომ ღვინის მოსავალი ჩვენს მაზრაში კარგი იყო, მაგრამ კარგ მოსავალსაც ესლა დიდი ზნე მოჰყვა: სირაჯები ღვინოს არ ყიდულობდნენ, რადგანც სოფლებში ერთ ნაირი საწყაოები დაადგინეს და იმათ დიდ ჩაფებს, პირები რომ ყიზილობების ქულებს მიუგავსთ, აღარ უყურებენ. ამისა გამო იმ უსინდისო სირაჯებმა ღვინოებს იანცური სეკვესტრი დაადგეს და შორიდან იძახიან: „აბა ესლა იხრუკეთ, ვრაციებო, თქვენის ახლის საწყაოებით“. ჭეშმარიტათ ეს სეკვესტრი ძრიელ საქმეს გაუჭირებთ ღვინოების პატრონებს...

სიღნაღის ბაზარში ესლა დიდი ვაჭრობა არის, რადგანც გლეხობაში ქორწინების დრო მოვიდა; დედაკაცებით ბაზარი სავსე არის, სიძეებისთვის ვერცხლის ქამრებს ყიდულობდნენ, საპატარძლოებისთვის ფაიებს, საბნების ფარჩებს და ყოველ დღეს დაზურგულები მიდიან.

სოფ. პრასიანში პრიხოდის ხეცესმა დიაკვნით და დიდყურა მხეცზედ აკიდებული საცალოებით შემოუარა მრევლს პურის მოსაკრეფათ; მიადვა გლეხის მ. ძ—ძის სახლს, შიგ შებრძანდა, კერას უკან შემოუარა, ჩაიხედა გოდორში და რომ დაინახა ცოტა ფქვილი, ჩახტა შიგ და დაუძახა დიაკვანს: „მოიტანე საცალოებით!“ გლეხი ეხვეწებოდა: მომიტმინეო, ხვალ რაღა გამოვაქნო, გოგობიჭებს რა ვაჭამო? მაგრამ ხეცესმა თავის მამაცობა არ მოიშალა. ამის გამო გლეხიც მოთმინებულამ გამოვიდა და წამოაგორა გოდორი... წარმოიდგინეთ სურათი!...

ეს კიდევ არაფერი. ამ დღებში ს. მაჭირში გარდაიცვალა მღვდელი დავით ხელავეი. ღღეს დილით ეს უნდა დაესაფლავებინათ ეკკლესიის სამარხში, რადგანც ნება ჰქონდა ჯგროვანის ალაგიდან. როდესაც საფლავი გასჭრეს, მიუვარდათ შტატს გარეთი მღვდელი პ. ხ—ვი, უცებ ჩაწვა საფლავში და დაიყვირა: „—აქ ნებას არავის არ მივცემ, რომ დაასაფლონ ვინმე! მე უნდა დავიმარხო აქა, როდესაც მოვეკვები!“ ხალხი უცებ შედგა ვაკვირებული; შემდგომ მამასახლისთან გაგზავნეს, რომ ეს შეშლილი ამოიყვანონ საფლავიდან. მისი მღვდელი განლაგეთ, რომელმაც მაჭირის მოხუცებულ დეკანოზს ქვადსცა წელში და კინადამ არ მოკლა. იმან ბევრი სხვა საქმეებიც ჩაიდინა...

სიღნაღელი.

შემო-იმერეთი, 17 ოქტომბერს. ამ ჩვენს მუთათისის გუბერნიაშიაც კი ყოველგან თან-და-თან იმართება გზები და მდინარეებზე ხიდები; თან-და-თან ხალხი პოულობს საშუალებას ერთმანეთთან მისვლა-მოსვლისას; თითქმის ყოველ

მხარეს მისდის ახალი ამბები ეფუძნება და ყველანი საჭიროებებიც კარგად ნებენ თავიანთ გაჭირვებას ანუ დაღონებას ერთი მეორეს; ყოველგან შეუძლიან კაცს, წავიდეს ანუ წამოვიდეს უშიშრათ, კარგი გზების და მდინარე წყლებზე ხიდების იმედით, თითქმის ყოველგან, გარდა შემო-იმერეთისა, რომელიც ასე მიგდებულ და მიყრუებულ მხარედ შეიქნა. აქ არ მოდის ფოშტა; სოფლის ცოტაც არის ნაწაველი ხალხი ვერ ვტყობილობთ ვერაფერ ახალ ამბავს და ვგრეთვე ვერც არავის ვტყობინებთ ჩვენს გაჭირვებას ანუ დაღონებას.

ამას როგორც არის ძალა-უნებურად ვითმენთ; მაგრამ ამ ყამად უზარბა მდინარე შვირილაზე ერთობ დიდ დასაკლისს შეადგენს მთელის შემო-იმერეთისთვის. ნუ თუ ეს მხარე ცოტათი მაინც არის არ იყოს ყურადღების ღარსი მთავრობისაგან, თუ სხვით არაფრით, პურის და ღვინის მოსავლით მაინც მთელ მუთათისის გუბერნიაში? შემო-იმერეთი, როგორც მოგეხსენებათ, გზავნის დიდ-ძალ პურსა და ღვინოს, განსაკუთრებით ღვინოს, მუთათისში, სამეგრელოში, ბურიაში და რამდენსამე ნაწილს თფილისისკენაც.

მართის სიტყვით, ბუნებრივი სიმდიდრით შემო-იმერეთს უჭირავს პირველი ადგილი მუთათისის გუბერნიაში. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, აქ არ განლაგეთ არც ხეირიანად გაყვანილი გზები და ვერც ნახეთ მდინარე წყლებზე ხიდებს.

მდინარე შვირილაზე თვით დაბა შვირილიდან ვიდრე საჩხერემდის ამ ყამად არ იპოვება არც ერთი ხიდი, მაშინ, როდესაც ადგილებზე ადრე, ცოტა რომ ესთქვათ, ათგან მაინც ყოფილა ჩინებულ ხიდები, რომელსაც სხვათა შორის გვიმტკიცებენ მშვენიერი თლილი ქვის აყვანილი, ორივეს მხრით კიდევ მთლად შენახული, კედლები.

შხილობა მდ. შვირილაზე დიდად დასაკლისია განსაკუთრებით ლეიმის დედათ-მონასტერთან როგორც ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის, ვგრეთვე მგზავრებისთვის; აქ ხიდი დაუქცივია წყალს აღელებების დროს წასრულს წელში და მას აქეთ ამ ადგილზე უხილობით წყალს დაუღვრჩვია რამდენიმე კაცი. საზოგადოებას სურვილი აქვს, გააკეთოს აქ ხიდი, მაგრამ მას არ უჩნდება თავი და წინ გამძლოლი კაცი. აქაურ საზოგადოების მამასახლისებს რომ ჰქითხოთ, თუ ხიდს რათ არ აკეთებთო? — მიზასუხებენ: ჩვენ გვეყავს უმფროსი და თუ მისი ბრძანება არ გვექნა, ისე ერთ ხესაც ვერ დავადებინებთო!...

აქაური.

# საბაასო

პასუხი უფ. იოსებ ხელაძეს.

(დასახრული)

შენს წერილში დაამატებ კიდევ, რომ ვითომც მე შეგირდებს ორ-სამ წელიწადს კასახედ არ მიუშვებ, მანამ სულ კრასკას ვასმევენებ.—მაშ თუ ეს მართალი არის, შენ სიღვან ისწავლე, რომელიც ეხლა თვეში 30 მან. მეტს იღებ? შენ ხომ ორ წელიწადზე მეტი არა ყოფილხარ ჩემთან, ნუ თუ შენ სახლში იცოდი ეს ხელობა?

ბოლოს კიდევ დაამატებ ჩემს ქებას, ვითომც ერთის თვის განმავლობაში სამი უჩინიკი დამეტოვნოს უპატრონო და მეოთხემ ამის მაყურებელმა მოინდომა გასვლა და ბილეთი მთხოვა; ნაცვლად ბილეთის მიცემისა, კარგი სილა უთავაზე და გარეთ გავაგდე. ის ორი, რომელსაც იოსებ ხელაძე ამბობს, ისინი შეგირდები არ ყოფილან, არამედ თვითონ მოჯამაგირენი იყვნენ, ერთი სტაროჟი და მეორე ჰატერშიკი; ესენი არ დავმარჩილენ ჩემ სტამბის მმართველს და სტამბის მმართველმა გაუსწორდა ჯამაგირში იმათ და დაითხოვა. მესამე, რომელიც შეგირდათ იყო, ბოცირიძე, იმას ფეხში ავითამყოფობა ეჩვეოდა, ნახევარი წლის შემდეგ, როცა ადგილი იშოვნა, მთხოვა ნება მიმეცა გასვლისა, თუმც იმასთან მართლაც პირობით ვიყავი შეკრული, მაგრამ მე არ მივხედე პირობას და ნება მივეცი, რაც ერგებოდა, წაიღო.

რაც შეეხება მეოთხეს, რომელმანც ჩემგან გასვლა მოინდომა, ეს მოხდა თვით იოსებ ხელაძის შეგულიანებით, როგორც თვით ყმაწვილმა აღვიარა რამოდენიმე კაცთ წინაშე. აი საქმე რაში მდგომარეობდა: იოსებ ხელაძე შეუდგა თავის ნახანაგებთ გაყვანას ჩემი სტამბიდან, თან თვითონაც საჭიროებდა ამხანაგს, რადგანაც გაზეთი „ღროება“ აქვო ასაწყობად. ზემო ნათქვამი ჩემი შეგირდი შეგულიანებია, ეთქვა: ჩემთან გადმოდი „ღროებაზე“ და აქ ბეგრს ჯამაგირს მოგციმენო; ყმაწვილმა მომთხოვა ბილეთი; მაგრამ, რადგანაც იგი იყო მცირე წლოვანი, მე უარი უთხარი ბილეთის მიცემისა; მე განუცხადე: უკეთუ მამა-შენისაგან მომივა ნება შენი გაშვებისა, გაგიშვებ-მეთქი. ყმაწვილმა არ დაიჯერა ჩემი, წავიდა უბელეთოდ და უფ. მელიქიშვილის სტამბაში შევიდა. მელიქიშვილის სტამბას ვაცნობე ეს გარემოება; სტამბის მმართველს ეთქვა ყმაწვილისთვის, რომ უბილეთოდ ნება არა გვაქვს გამუშაოთო; აქ ყმაწვილი ივით გამხდარიყო და ერთს ჩემს ნაშეგირდალს წაეყვანა თავის სახლში, რომელმაც მე ყმაწვილის ავითამყოფობა გამაგებინა; მაშინვე მე გავგზავნე ავითამყოფის სახანაგად და საპატრონოდ ჩემი სტამბის მმართველი, რომელმანც ფაქტონით წაიყვანა სამკურნალოში,

სადაც ერთი საავითამყოფოში წაყვანა მისი. მაშინვე მივეცი მოწმობა და გავატანე საავითამყოფოში შესატანი ერთი თვის ფული და თან მივსწერე საავითამყოფოს მმართველობას, მე ვარ მაგისი პასუხის მკვებელი, უკეთუ ავითამყოფი დიდხანს დარჩება საავითამყოფოში-მეთქი და ამნაირად შევგზავნე. მთხილის შემდეგ ყმაწვილი კარგად გამხდარიყო და თავის-თავად ამოწერილიყო და მოვიდა ჩემთან; მთხთვა დანაშაულობა მიმეტყვებინა და თან გვიანბო რამდენსამე პირთან, როგორ გაებრიყვებინა იოსებ ხელაძეს.

ამით ვათავებ ამ ჩემს პირველ პასუხს, თუმცალა სამი ამდენიც მქონდა სათქმელი, ზოგი თვით იოსებ ხელაძის ყოფაქცევაზედ და ზოგი რა სარგებლობა მქონდა მე შეგირდების აყვანის თაობაზედ; მაგრამ ამის ადგილი აქ არ არის, უმისოთაც გაიგება მკითხველი, რა უსაფუძვლოდ დაუწერია იოსებ ხელაძეს ჩემ შესახებ წერილი. ნათქვამია, „კარგის ნაცვლად კარგი არავის უქნიაო“; მეც ეს ანდაზა მანუგეშებს. იოსებ ხელაძემ კი ნაცვლად მადლობისა, აიღო კალამი და საქვეყნოდ ლანძღვა დამიწყო, აქაოდა მქვითიმე ხელაძე ცული კაციაო; ჩემ სიტუდესთან იმ სიკეთესაც რატომ არ ამბობს, რომელიც იმისთვის მიქნია. შევცდი, სიკეთე ჩავიღინე. მემართლები, ჩემო იოსებ.

მქვითიმე ხელაძე.

## უცხო ქვეყნები

### ინგლისი

აქლანში გაგზავნილის ინგლისის ჯარის უფროსმა ლენ. რობერტსმა გამოაცხადა შაბულში პროკლამაცია. რომელშიაც მოხსენებულა, რომ ინგლისის ელჩების ავღანელებისაგან ამოქვლტამ იძულებული ვახდაო ინგლისის მმართველობა შაბული და ზოგიერთი ნაწილები ავღანისა დევყო. ავღანის მახსრების გამგებლებსა და მოწინავე კაცებს ინგლისის მთავრობა მხოლოდ ერთ-რასმეს სთხოვს—წესიერება და მშვიდობიანობა დაადგინონ თავიანთ მახრებში. ინგლისის ჩინოვნიკები სამართლიანად და პატივისცემით მოეპყრობიან ავღანის ხალხს; წინააღმდეგობისათვის კი ყველას სასტიკი სასჯელი მოეღოს. ბოლოს ლენ. რობერტსი ამბობს, რომ, რადგან იაკუბხანის ხელს იღებს ავღანის ტახტისაგან, ამის გამო ინგლისს განზრახვა აქვს, რომ ავღანის ტახტზე აიყვანოს იაკუბხანის მცირე წლოვანი ვაჟი და სანამ სრულ-წლოვანად შეიქნებოდეს, ავღანი ინგლისისაგან დაყენებულმა კაცმა განავოს.

— მართს ფრანკულუსს გაზეთში დაწვრილებით არის აწერილი ის საზიზლარი სცენები, რომელიც ჩაუდ-

ნიათ ინგლისის ჯარებმა შაბულში დატერის დროს. პორრესპონდენტი, რომელიც ამ დროს დასწრებია შაბულში, ამბობს, რომ ინგლისის მოწინავე ჯარი, შევიდა თუ არა შაბულში, იმ წამსვე მიესიენ შაბულის ბაზარს და რაც რამე დახვდათ, ყველაფერი მოიტაცეს, ყველა მალაზიები და ღუქნები აიკლესო. აქას გარდა სალდათები შეცვივებულან ზოგიერთ სახლებში, რაც საღირალი რამ უნახავო, წამოუღიათ, რაც ვერ წამოიღეს, დაამტერიესო; ვინც წინამძღვრობას გაბედავდა, ხმლებითა და თოფის კონდახებით სცემდნენ. თქრამეტი საათის განმავლობაში ამ ნაირად უცარცვით ქალაქი; შემდეგ ლენ. რობერტს გამოუცია ბრძანება, რომ ყველა სალდათები დანიშნულ ალაგას მოგროვილიყვნენ და ცარცვა შეუჩერებია. ამ შაბულის აცარცვამ მე ძოშავონა 1859 წელიწადიო, ამბობს კორრესპონდენტი, როდესაც ფრანკულუსისა და ინგლისის ჯარებმა გაცარცვეს და აიკლეს ჩინეთის საზღვრულს სასახლე პეკინში“.

### საზრანგეთი

ზრანკულუსულ გაზეთებში იწერებინან, რომ ამ თვის 21-სათვის მარსელში დანიშნულია მუშა-ხალხის წარმომადგენლების ყრილობა, რომელზედაც ბევრი ქალებიც დაესწრებიანო და რომლის მიზანი ის არისო, რომ მოილაპარაკონ თუ როგორ შეიძლება მუშა-ხალხის გამოსნა კაპიტალისტებისა და ფაბრიკანტების მოწაობისაგან და საზოგადოთ რა საშუალება, რა ღონის-ძიება უნდა იხმარონ, რომ მუშების მდგომარეობა გააუმჯობესონ.

— პარიჟის მუნიციპალურ რჩევის (ქალაქის რჩევის) წევრად ახლად-არჩეულ წევრს (ხმოვანს) მძებრს სასამართლომ ექვსი თვით საბყრობილეში ჩასმა და ორი ათასი ფრანკის გარდახდა გარდაუწყეიტა საფრანგეთის მოსამართლეთა შეურაცხყოფისათვის და ისეთ საქმეთა გამართლებისათვის, რომელნიც კანონით ბოროტ საქმეებად არიან ცნობილნი.

მოგესხენებათ, თუ რამდენი ყყანი ატყდა ფრანკულუსულს გაზეთებში, როდესაც ეს ახალ-ძალედონიიდან დაბრუნებული კომუნარი მძებრი პარიჟის ერთის უბნის შაველის მცხოვრებლებმა თავის წარმომადგენელად აირჩიეს პარიჟს მუნიციპალურ კრებაში. მითი ამგვარივე ძალედონიიდან ახლად-დაბრუნებული კომუნარი უფ. ლუი ბარელ ხალხმა აირჩია ამ ქამად კიდევ ლიონის ქალაქის რჩევის წევრად. ეს ორი გარემოება ძალიან საშიშრად მიაჩნია ზოგიერთ მხთალ რესპუბლიკელებს; იმათ ჰგონიათ, რომ რევოლიუციონერებს ერთობ დიდი ძალა და გავლენა მიეცემათ საფრანგეთშიო და შესაძლებელიაო, რომ ამათ კიდევ არეულობა მოახდინონო.

### იტალია

მითი რომის გაზეთი გეაცნობებს,

